


ZE GAVLENA

ISSN 2667-9728 (Online)

RAV• art review 06.2021





შ პაპიანი

რავ • ანთ მიმონილვა 06.2021

-----ქანდაკების ფაბრიკა-----

შინაარსი content

REACH art VISUAL PRESENTS
ისტორიული ხელმოწერა 4
ისტორიული არტიტის თანამართლებლობა

REACH art VISUAL PRESENTS
INTERVIEW WITH THE ARTIST 7
INTERVIEW BY ARCHIL TABAGARY

REACH art VISUAL PRESENTS
OLD MASTER 11
იაკობ ნიკოლაძე

REACH art VISUAL PRESENTS
OLD MASTER 12
IAKOB NIKOLADZE

REACH art VISUAL PRESENTS
ქანდაკება დღეს 13
დავან ყიფშიძე

REACH art VISUAL PRESENTS
SCULPTURE TODAY 15
LEVAN KIPSHIDZE

REACH art VISUAL PRESENTS
ქანდაკება დღეს 18
გიორგი თქრთაიანი

REACH art VISUAL PRESENTS
SCULPTURE TODAY 19
GIORGI OKROPIRIDZE

REACH art VISUAL PRESENTS
ისტორიული უაქტები 20
ბაბო კორიძე

REACH art VISUAL PRESENTS
HISTORICAL NARRATIVES 21
BATSO KORISHELI

REACH art VISUAL PRESENTS
ისტორიის გადაწყვეტა 22
ქრისტე ანაბეკიანი, რუსუდან ბაჩიანი

REACH art VISUAL PRESENTS
AT THE CROSSROADS OF HISTORY 25
ELGUJA AMASHUKELI, RUSUDAN GACHECHILADZE

REACH art VISUAL PRESENTS
ხელმოწერათმცოდნის ბლოგი 28
მარია შერგელაშვილი

REACH art VISUAL PRESENTS
BLOG BY ART HISTORIAN 29
MARIAM SHERGELASHVILI

REACH art VISUAL PRESENTS
EMERGING ARTIST 30
თამარ ბოჭორიშვილი

REACH art VISUAL PRESENTS
EMERGING ARTIST 31
TAMAR BOCHORISHVILI

REACH art VISUAL PRESENTS
ქანდაკება დღეს 32
ნოდარ თოფურია

REACH art VISUAL PRESENTS
SCULPTURE TODAY 34
NODAR TOPURIA

„თაბაგარი, დააბრუნე ქობულაძე!!!“



**გაგვაცანით ხელოვანი
მხატვარი, მოქანდაკე, რეჟისორი.**

ყველა ეს სპეციალობა გამოხატვის სა-
შუალებბაა ანუ ერთგვარი სასაუბრო ენა,
თუმცა თითოეულს აქვს შეზღუდული
სივრცე. მაგალითად, პირობითად “ბგე-
რები”, რომლებიც სკულპტურაში ამოიწუ-
რა, შეიძლება ხატვით გადმოიტანო სიბრ-
ტყეზე, თუ იქაც ამოიწურა უკვე სხვას ეძებ,
აი ეს არის და ამით არის დაკავებული ხე-
ლოვანი არჩილ თაბაგარი.

პირველი კავშირი ხელოვნებასთან

რაც შეგნებული ცხოვრება მახსოვს სულ მქონდა ინტე-
რესი ვიზუალურ ხელოვნებისადმი. ისეთ დროს დავიბა-
დეთ და გავიზარდეთ, რომ ყველგან ლენინის გამოსახუ-
ლება იყო, გარეთ კორპუსებზე, უზარმაზარ პანოებზე და
ტელევიზიით ხომ საერთოდ ყველა ორ სიტყვაში ლენინს
ახსენებდნენ. სკოლაშიც სამკვრდე ნიშნებზეც ყველა ასა-
კის ლენინის გამოსახულება იყო. პირველად ალბათ მეც
იმდენი ვხატე ილიჩი, სანამ არ ჩავთვალე, რომ მივამს-
გავსე. თვითონ არც იცის კეთილი საქმეც რომ აქვს გაკვე-
თებული. ეს ერთგვარი სახუმარო ფაქტია, ისე კი, ბავშ-
ვობიდან ყოველთვის ვხატავდი. განსაკუთრებით ფიქ-
რის დროს და დასრულებისას ვარკვევდი რა მქონდა და-
ხატული. სკოლაში გაკვეთილებზე ვხატავდი სულ. მერე
საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩავწერე და საკითხავი ლიტე-
რატურის გვერდით სერგო ქობულაძის ალბომს წავაწყ-
დი და იქ დაიწყო ჩემი პირველი მიმდინებება ადამიანის
სხეულთან, მის პლასტიკასთან და საერთოდ სხეულის
ენასთან. აქედან დაიწყო ჩემი და ბიბლიოთეკარის ომი.
„თაბაგარი, დააბრუნე ქობულაძე!!!“ — მეც ვაბრუნებდი
და ისევ გამომქონდა. ის დრო იყო, როცა ასევე ვეზიარე
ლედ ზეველინის მუსიკას და სმენისას მოდიოდა გამო-
სახულებები, ისტორიები, დინამიკა... მეც გადმომქონდა
ეს “ობრაზები” ან ნახატად ან სცენარების სახით.

იდეა და ფორმა.

რას ნიშნავს ხელოვნებაში ეს კავშირი?

რა თქმა უნდა სკულპტურაშიც, როგორც ყველაფერში
რაიმე იმპულსი იდეას ქმნის და იდეა კი ფორმას.

ინტერვიუ ხელოვანთან

ჩემთვის იდეის და ფორმის ვაკვირი არის ცოცხალი პროცესი, სადაც არტისტის ყველა შეგრძნება ჩართულია. ემოციებთან ერთად მნიშვნელოვანია გამოცდილება და ოსტატობაც. ეს პროცესი უდიდეს სიამოვნებას გაძლევს თავად, როგორც ავტორს. ასევე განიჭებს სიხარულს, თუ ის შედეგი დადგა, რაც იდეის ჩამოყალიბებისას გქონდა დასახული. თუმცა მარცხიც ხდება ხოლმე, გვერდით მყოფს შეიძლება ძალიანაც მოსწონდეს, მაგრამ შენ რაც გინდოდა იმისგან შორსაა და ეს თავის მხრივ ცოტა არ იყოს მტკივნეულია.

ქანდაკება ფორმადქმნადი ხელოვნება, ამ მედიუმზე რომ ვისაუბროთ

მე ვიტყვოდი, რომ ქანდაკება სივრცის და ფორმის დიალოგია. ქანდაკების მედიუმი არ და ვერ არის მხოლოდ თიხა, მაგალითად დაზგური ქანდაკების შემთხვევაში. სივრცე ისეთივე ინგრედიენტია, როგორც მასალა რაშიც ვქმნავთ ან ვთლით. საინტერესოა ქანდაკება იმ მომენტიდან, როდესაც უბრალოდ ფიგურას ვი არ ქმნი, არამედ სივრცესაც ეჭიდავები, მაშინ გამოდის ის მონუმენტური. რაც არ უნდა პატარა იყოს ქანდაკება, როგორც მურის მეფე დედოფალი - ის მაინც მონუმენტურია, როდესაც მასში ინგრედიენტად შემოყვანილია სივრცე.

თქვენს ნახატებში იბრძნობა მოქანდაკის ხელი, ასევე მასალის ფლოტის ფილოსოფიური გააზრება, როგორია ამაზე თქვენი ხედვა


ეს თავისთავად ხდება ალბათ, ქანდაკებაზე მუშაობისას ხატვისგან განსხვავებით, როგორც უკვე აღვნიშნე, სიბრტყის ნაცვლად სივრცეში ქმნი ფორმას და პლასტიკას. სიბრტყესთან როცა იჭერ საქმეს და სხეულის გადმოცემას ლამობ, ყველა გზით ცდილობ იგივე მიიღო, რასაც სივრცეში და უკვე გაუცნობიერებლად იქმნება ფორმები სიბრტყეზეც, ოღონდ უკვე შეუქმრდილის გამოყენებით.


თქვენი ხელოვნება ეფუძნება ხელოვნებაში კლასიკური ესთეტიკის კანონებს.

ამავდროულად თანამედროვე ადამიანის კულსაციუს იკვლევთ.

გაგვიზიარეთ თქვენი დამოკიდებულება, აქვს ხელოვნებას ისტორიზმი თუ ის მარადიული განახლებაა?

ვფიქრობ, რომ ისტორიზმიც გააჩნია ხელოვნებას და მუდმივად განახლებადიცაა. სიახლეები, როგორც ყველაფერში, აქაც ტექნოლოგიურიც არის და სათქმელი განახლება ყველა ეპოქაში ხდება. ხელოვანი თავისუფლად შეიძლება ერთგვარ მემბტიანედაც აღვიქვათ, გააჩნია მას რა ანუხებს, რა ახდენს მასზე შთაბეჭდილებას. შემდეგ ის თავის "სასაუბრო ენით" ყვება სათქმელს. ჩემ შემთხვევაშიც რომ გადავხედო ნამუშევრებს პერიოდების მიხედვით ვინც მიცნობს მიხვდება, რომ ერთგვარ ბიოგრაფიასაც გავს; თითქოს ადამიანის დღიურს თვალი გადაავლო. როგორც ადამიანი და ვაცობრიობის გზა განიც-





ქანდაკება სივრხის და ფორმის ღიაღობია



*ქანდაკების ნამუშევრებთან შეხებისას, რაიჩყა
ჩემი პიროვნული მიმდინარეობა ადამიანის
სხეულიდან, მის კონსტრუქციასთან და
სხეულის იწესთან*



დის კატაკლიზმებს, ასევე იცვლება სათქმელიც და ფორ-
მაც, მაგრამ მარადიულია ხელოვანის შთაბეჭდილებე-
ბისგან, მასში დაგროვილი სათქმელისგან განთავისუფ-
ლების სურვილი.

**რა არის თქვენი, როგორც ხელოვანის მგრძობ-
აულობა გარემოს მიმართ, რომელშიც მუშა-
ობთ, ცხოვრობთ?**

ასეთი მოულოდნელობებით სავსე პერიოდს მზად დაუხე-
დე, ადამიანისთვის რატომ უნდა, რთულია, მუსტად ასე-
ვე რთულია ხელოვანისთვის, მაგრამ თან ძალიან საინ-
ტერესოც. განსაკუთრებით ალბათ ლიტერატურაში, კი-
ნოდოკუმენტალისტიკაში, თეატრში და თუნდაც მხატვ-
რობაში. მაგრამ ცოტა რთულადაა ქანდაკებაში ამ მხრივ
საქმე, ჩემთვის ქანდაკება არ არის წიგნი რომ ამბები მოყ-
ვე, გაქვს მხოლოდ ფორმა და სივრცე, ამ ორი კომპონენ-
ტით უნდა შექმნა და გადმოსცე შენი დამოკიდებულება
სამყაროს მიმართ ან რაღაც შთაბეჭდილება რის ქვეშაც
ხარ და ეს ყველაფერი ისე უნდა მიანოდო მნახველს,
რომ ემოციები გაეღვიძოს და შენი ხმაც გაიგონოს. არა-
და, სათქმელი იმდენია ვინ მოსთვლის...

<http://vr.ihomepedia.com/70+127/>

ესაუბრა მარიამ შერგელაშვილი



MARIAM SHERGELASHVILI

INTERVIEW WITH THE ARTIST

ARCHIL
TABAGARI

Tabagari, return Kobuladze!!!



MULTIPLE SCULPTURE OBJECTS

INTERVIEW WITH THE ARTIST

PRESENT TO US ARTIST TABAGARI

Painter, sculptor, director. All of these fields are a means of expression, a communication language, but they all have limited space. "Sounds" that run out in sculpting can be expressed with painting, if you still run out then you search for something else. This is what Archil Tabagari does as an artist.

FIRST CONNECTION WITH ART

For as far back as I can remember, I have always been drawn to visual art. We were born and raised in times when Lenin was everywhere - displayed on buildings, on television, even in everyday speech. Even at school, we had Lenin's image on our badges. I also painted the son of Ilya until I thought it looked similar enough. He does not know that he has done some good deed as well. This is a joke but, since childhood, I have been painting him, and while thinking and upon finishing the painting I would try to determine what I had created. I used to paint at school during my classes. Then I started going to the library and next to literature I came across Sergo Kobuladze's album and that was my first magnetic attraction to the human body, its plasticity and body language in general. This is where my war with the librarian began - Tabagari, return Kobuladze!!! And I would return and take it out again. At this time I also discovered Led Zeppelin, I would listen to music and images, stories, dynamics would come to me... So I conveyed these images either in the form of paintings or scripts.

IDEA AND FORM. WHAT DOES THIS CONNECTION MEAN IN ART?

Of course in sculpture, as in everything, any impulse creates an idea and an idea creates forms. For me, the connection between idea and form is a living process where all the senses of an artist are involved.



*"The King in Love"
Unique Sculpture Cast Marble
2021
Archil Tabagari*



INTERVIEW WITH THE ARTIST

sculpture is a
dialogue of
space
and form



Alongside emotions, experience and craftsmanship are also vital. This process gives you the greatest satisfaction in yourself as an author. It will also give you joy if the result you set out when you came up with the idea comes to fruition. Though failure happens sometimes, the person next to you may like it very much, but you are far from what you intended and it, in turn, is quite a bit painful.

SCULPTING AS THE ART OF FORM-CREATION, LET'S TALK ABOUT THIS MEDIUM

I would say that sculpture is a dialogue of space and form. The medium of sculpture is not and cannot be just clay, for example in the case of easel sculptures. Space is as much an ingredient as the material in which we sculpt or carve. The sculpture is interesting from the moment when you not only create a figure, but also wrestle with space, this is when it turns out monumental. No matter how small the statue, such as the King and Queen by Moore, it is still monumental when space is introduced as an ingredient in it.


INTERVIEW WITH THE ARTIST

The hand of a sculptor, as well as philosophical understanding of the material can be sensed in your paintings, how do you see this?

This probably happens automatically. When you work on sculptures, as opposed to painting, you create shapes and plasticity in the space instead of a flat surface. When you try to portray a body on a flat surface and strive to get the same result as you do in the space, subconsciously, you create forms on the flat surface, by using light and shade.

YOUR ART IS BASED ON THE LAWS OF CLASSICAL AESTHETICS IN ART. AT THE SAME TIME YOU STUDY THE PULSATION OF A CONTEMPORARY MAN. SHARE YOUR ATTITUDE, DOES ART HAVE HISTORICISM OR IS IT ETERNAL RENEWAL?

I think that art certainly has historicism and is eternal renewal at the same time. Novelties, as in everything, are technological here as well and the rhetoric is being renewed in every epoch. The artist can be freely perceived as a kind of chronicler, depending on what bothers him, what impresses him. Then he tells his story with his own language. In my case, too, if I look at my works by periods, those who know me will realize that it also looks like a kind of biography; it was as if you were looking at a human diary. The utterance and form change just like the humanity experiences cataclysms, but there is an eternal desire to free oneself from the impressions of the artist, from the utterance accumulated in him.




WHAT IS YOUR VULNERABILITY AS AN ARTIST TO THE ENVIRONMENT IN WHICH YOU WORK AND LIVE?

Getting ready for a period full of such surprises is certainly difficult for a person, just as difficult for an artist, but also very interesting. Especially probably in literature, film documentary, theater and even painting. But this is a bit difficult in sculpture in this regard, for me sculpture is not a book to tell stories, you only have form and space, with these two components you have to be able to convey your attitude your impressions. At the same time, you need to evoke emotions in the viewer and let them hear your voice.

Alas, there are countless things to say...



OLD MASTER



იაკობ ნიკოლაძე ქართული ქანდაკების ისტორიაში მოწინავე ადგილს იკავებს. მის სახელთან არის დაკავშირებული XX საუკუნის ქართულ ხელოვნებაში სკულპტურის განვითარება. მოდერნისტული ხედვით ადამიანის ღრმა შინაგანი მდგომარეობის გადმოცემა თანაბრად, ღრმა ფსიქოლოგიზმითა და რეალიზმით, ნიკოლაძის ხედვას და სტილს აყალიბებს. ნიკოლაძის შემოქმედებაში როდენთან მონაფეობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ხელოვანი წერს წიგნს "ერთი წელი როდენთან", სადაც ის პირად ხედვებსა და ქანდაკების დამუშავების თეორიულ პლასტებს გადმოცემს, როდენთან მუშაობის გამოცდილების გაზიარების საფუძველზე.

იაკობ ნიკოლაძე



საქართველოში დაბრუნებული ნიკოლაძე ფორმის შერქმნების, პოეტური ჭკვრეტისა და ფსიქოლოგიზმის შრეებს გადმოსცემს ქანდაკებაში. ძირითადად პორტერტული ბიუსტების დამუშავებისას, ნიკოლაძე თითოეული ნაკვთს დინამიურ ელემენტად წარ-

მოადგენს მთლიანი ფორმის განუყოფელ ნაწილად, სადაც ხასიათობრივი განწყობითი შრეები თანაბარი მნიშვნელობით ერთიანდება. მოქანდაკე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათებას. მისთვის შუქი მოდელირების არსებითი საშუალება იყო.

ნიკოლაძე ქანდაკებაში მასალის ზედაპირის ზედმინევენით დამუშავებით ერთმანეთთან კონტრასტულ ზედაპირებს მკვეთრი და მქრქალი ფაქტურების თამაშით ამუშავებს. ამგვარად, ხელოვანი ფორმის დანწევრებით უკიდურეს პლასტიკურობას გამოხატავს. შედეგად, მისი პლასტიკა მატერიალურია, კომპოზიცია კი ლაკონური.

ნიკოლაძის შემოქმედებას ახასიათებს სტატიკურობა, კამერულობაში გამოხატული ცხოველხატულობა, პოეტურობა.



OLD MASTER




Iakob Nikoladze occupies a leading place in the history of Georgian sculpture. His name is associated with the development of sculpture in XX century Georgian art. Expressing the deep inner state of a person from a modernist point of view with deep psychologism and realism, shapes Nikoladze's vision and style. Discipleship with Rodin occupies a special place in Nikoladze's work. The artist writes a book, *One Year with Rodin*, in which he outlines personal insights and theoretical layers of sculpture design based on his experience of working with Rodin.

Having returned to Georgia, Nikoladze conveys layers of sense of form, poetic contemplation and psychology in sculpture. Working mainly on portrait busts, Nikoladze presents each feature as a dynamic element and an integral part of the whole form, where the characteristic mood layers are united with equal importance. The sculptor attached great importance to lighting. For him, light was an essential means of modeling.

Nikoladze elaborates the surface of the material in the sculpture by processing the contrasting surfaces with a play of sharp and faded textures. Thus, the artist expresses extreme plasticity by parting the form. As a result, the plasticity is material and composition is laconic.

Nikoladze's work is characterized by staticity, vivaciousness, poetry.



Michelangelo

IAKOB NIKOLADZE




ჰიბრიდული აბსტრაქციები

დევან ყიფშიძე

ქართულ უახლეს ხელოვნებაში ლევან ყიფშიძე ე.წ. 90-იანი წლების თაობას წარმოადგენს. მისი შემოქმედება აერთიანებს პოსტ-მოდერნისტულ სკულპტურებს, რომლებიც ძირითადად მეტალშია შესრულებული, ასევე ხესა და ქვაშიც. მასალების სინთეზით და განზოგადებული ფორმის გამოსახვით ლევან ყიფშიძე ამკვიდრებს იმგვარ ვიზუალურ ენას, სადაც სკულპტურის სივრცულობა ჰიბრიდულობის, წესრიგისა და ქაოსის ნაზავია.



ქანდაკეა დღეს



თანამედროვეობა, რომელიც გარკვეულად დომინაციური და ბრუტალურია ყიფშიძის ნამუშევრებში მეტაფორულ და აბსტრაქტულ ფორმებში ვლინდება.

მოქანდაკე, როგორც პოსტმოდერნისტი ავტორი, ცდილობს გარესამყაროს დინამიური, ინფორმაციული ნაკადი მეტალის ფირფიტების, ხისა თუ ქვის ფორმებით წარმოადგინოს. ხელოვანის ჰიბრიდული კომპოზიციები მეტალის ქვირულ ფორმებში დაქსელილი რეალობაა, რომელიც მნახველს ლევან ყიფშიძის მხატვრულ პოზიციასა და თანამედროვეობასთან კავშირზე აფიქრებს.



SCULPTURE TODAY



levan kipshidze


Hybrid Abstractions

Levan Kipshidze represents the generation of the 90's in modern Georgian art. His work combines postmodern sculptures, mostly made of metal, as well as wood and stone. By synthesizing materials and depicting a generalized form, Levan Kipshidze establishes a visual language where the spatiality of the sculpture is a mixture of hybridity, order and chaos.

Modernity, which is somewhat dominant and brutal, is manifested in metaphorical and abstract forms in Kipshidze's works. The sculptor, as a postmodernist author, tries to represent the dynamic, informative flow of the outside world in the form of metal plates, wood or stone. The artist's hybrid compositions are a reality woven into the hollow forms of metal, which makes the viewer ponder upon Levan Kipshidze's artistic position and connection with modernity.

SCULPTURE TODAY

levan
kipshidze
metal
postmodern sculptures



iSTUDIO GRAPHIC DESIGN
LABORATORY

PRESENTS

SCULPTURE TODAY

levan
kipshidze

mixed media

postmodern sculptures



ბობი ოქროპირიძე

ქანდაკება დღეს



თანამედროვე ქანდაკების მიმართულება ხშირად ავითარებს აბსტრაქტულობას, სადაც გარემომცველი დინამიკა მრავალმხრივი, მასალასთან მუდმივად განახლებული დიალოგის რეჟიმით საგნობრიობის არამიმბადველობით, არამედ ხაზგასმული ფრაგმენტულობით, გარკვეულ კონტექსტურ ხაზს წარმოშობს. გოგი ოქროპირიძე ვენაში მოღვაწე ქართველი ხელოვანია, რომელიც თანამედროვე ქანდაკებისა და ობიექტის მიმართულებით მუშაობს. რა არის ის ენა, რომლითაც თანამედროვე სკულპტურული ფორმა ყალიბდება?

ოქროპირიძის შემოქმედება შერეული მასალის ტექნიკას აერთიანებს. მასალის კოლაჟურობა და გამიზნული ესთეტიზაცია კომპოზიციის მინიატურულობა და სხვადასხვა ექსპერიმენტი ერთიან ხედვად ყალიბდება ხელოვანის შემოქმედებაში. ოქროპირიძესთან დეტალები ნიუანსური მნიშვნელობით წარმოდგენენ განწყობით ელემენტებს და მასალის ახალ თვისობრიობას წარუდგენენ მნახველს.

გოგი ოქროპირიძე დაიბადა 1962 წელს თბილისში, საქართველო. 1980-1985 წლებში. 1991 წელს იგი გადავიდა ვენაში.

1989 წლიდან გ. ოქროპირიძე მონაწილეობს მრავალჯგუფურ გამოფენასა და პროექტში. მათ შორისაა:

1989 გამოფენა "რუსული გონება", გრაცი;

2002 სოპო, ოტაკრინგი, გამოფენა WUK - პროექტის სივრცე;

ქანდაკება საჯარო სივრცეში - აფრებიანი ვაგონი, ვენა;

თვის ხელოვნება - ოქტომბერი, ORF - კლუბის კულტურა, განმეზღვა - მუზეუმების კუნძული;

2009 - სოპო ოტაკრინგი - „Museum der Trinksprüche " თანამედროვე ხელოვნება საქართველოდან, შატო დე სან-ავენთი, საფრანგეთი.

გაეცანით ხელოვნებას, ვენის ხელოვნების კვირეული 2009;

ფესტივალ არტისტერიუმი, თბილისი, საქართველო;

2015 - გალერეა ნექტარი, თბილისი, საქართველო;

2016 - ლუჯი საბჭოთა მანქანა. პოპიაშვილი-გვაბერიძის ვინდოუ პროექტი, თბილისი, საქართველო და სხვ.

SCULPTURE TODAY

Gogi Okropiridze




Modern sculpting currents often develop abstraction, where the surrounding dynamics with a multifaceted, constant dialogue with the material, with a non-imitation of subjectivity but also with emphasized fragmentation, produce a certain contextual line. Gogi Okropiridze is a Georgian artist working in Vienna in the field of modern sculpture and objects. What is the language by which the modern sculptural form is molded?



Okropiridze's work combines the technique of mixed materials. The collage of the material and the targeted aestheticization, the miniature nature of the composition and the various experiments form a unified vision in the artist's work. With Okropiridze, the details represent the nuanced elements of the mood and introduce new characteristics of the material to the viewer.



Gogi Okropiridze was born in 1962 in Tbilisi, Georgia; in 1980-1985. In 1991 he moved to Vienna. Since 1989 g. Okropiridze participates in many group exhibitions and projects: 1989 Exhibition "Russian Mind", Graz; 2002 Soho, Ottakring, Exhibition WUK - Project Space; Sculpture in public space - sailing carriage, Vienna; Art of the Month - October, ORF - Club Culture, Cleaning - Museum Island; 2009 - Soho Ottakring - "Museum der Trinksprüche" Contemporary Art from Georgia, Chateau de Saint-Auvent, France. Meet the Art, Vienna Art Week 2009; Festival Artisterium, Tbilisi, Georgia; 2015 - Gallery Nectar, Tbilisi, Georgia; 2016 - Blue Soviet Car. Popiashvili-Gvaberidze Window Project, Tbilisi, Georgia, etc.



ისტორიული ნარატივი:

მუსიკასა და ქანდაკებაში,
მათთან ფიქრების გაცვლა-
გამოცვლაშია მთელი
ჩემი ცხოვრება.



ბოსო კორიშედი

ისტორიული ფაქტები



ხელოვნება -

მუსიკის ქმნალობა და ქმნალობის მუსიკალურობა - ასე შეიძლება დახასიათდეს ბოცო (ვახტანგ) კორიშელის მრავალმხრივი და გრძელი შემოქმედებითი გზა, რომელიც მოიცავს რეპრესიებს, ამერიკაში ემიგრაციას, საერთაშორისო აღიარებას და მუდმივ სიყვარულს საქართველოსთან.



ბოცო კორიშელი ის შემოქმედი, რომელმაც საერთაშორისო კულტურაში დაიმკვიდრა გამორჩეული და საპატიო ადგილი. ხელოვნებაში მოღვაწეობა დაიწყო, როგორც მუსიკოსმა, აღზარდა ბევრი ცნობილი მუსიკოსი, დაარსა საკუთარი სიმფონიური ორკესტრი მორო ბეიში და წლების მანძილზე ასწავლიდა ახალგაზრდებს დირიჟორობას, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრასა და ქანდაკების ხელოვნებას.

1921 - 2015

ქვის თლით ბოცო კორიშელი ცხოვრების მეორე ნახევარში დაინტერესდა. განსაკუთრებული ინტერესით ამუშავებდა გრა-ნიტს. მორო-ბეიში მის მიერ შესრულებული რამდენიმე ქანდაკება დგას. ბოცო კორიშელის სკულპტურები მონუმენტალიზმისა და ლირიულობის ნაზავს ქმნის. ხელოვანი მუშაობდა რელიგიურ, ბიბლიურ და მითოლოგიურ თემებზე. ფორმის ღრმა გააზრება და მონუმენტური ლაკონურობა ბოცო კორიშელის ხელოვნებაში ქართული კულტურის ნიშნებსა და გამომსახველობითობას უკავშირდება.

Historical Narratives: BOTSO KORISHELI (1921 – 2015)

HISTORICAL NARRATIVES



My whole life is about music and sculpture, exchange of thoughts with them.

ART

the creation of music and the musicality of creation - this is how Botso (Vakhtang) Korisheli's multifaceted and long creative path can be characterized, which includes repressions, emigration to America, international recognition and constant love for Georgia.

Botso Korisheli is the creator who has established a distinguished and honorable place in international culture. He began his career in the arts as a musician, raised many famous musicians, founded his own symphony orchestra in Morro Bay, and over the years taught young people conducting, playing various instruments, and sculpting.

Botso Korisheli became interested in stone carving in the second half of his life. He worked with granite with special interest. There are several of his in Morro Bay. Botso Korisheli's sculptures create a mixture of monumentalism and lyricism. The artist worked on religious, biblical and mythological themes. Deep understanding of the form and monumental conciseness in Botso Korisheli's handwriting are rooted in the signs and expressiveness of Georgian culture.





ეღბუჯა რუსუდან ამაშუკელი ბარერილაძე

ქანდაკება ხელოვნების ის სფეროა, რომელიც ეპოქის ხასიათს გამოხატავს. ქართული ქანდაკების ისტორია მე-20 საუკუნეში ქალაქების განაშენიანებაში ინტენსიურ ნაციონალურ-ჰეროიკული თემატიკის აქცენტირებას ისახავდა მიზნად. ამ პერიოდში ცხადდებოდა თემატური კონკურსები და წარდგენილი პროექტები ქალაქების ლანშაფტში ქანდაკების მონუმენტურ ვიზუალიზაციას ახდენდა.

ელგუჯა ამაშუკელი, ის მოქანდაკეა, რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში განმსაზღვრელ როლს იკავებს და დღემდე მისი ნამუშევრები ქალაქის ურბანულ ქსოვილში განუყოფელი და დომინანტურია. ასეთი ჰარმონია ლანშაფტს, სივრცესა და ქანდაკებას შორის იშვიათია.

ისტორიის გადკვეთაზე



მონუმენტურობის
გრძნობა მხატვრის
მეექვსე გრძნობაა

ელგუჯა ამაშუკელი

გობისეიქლადიანი ფიგურალები გრძნობაზე



როგორც ხელოვანი აღნიშნავდა - „მონუმენტურობის გრძნობა მხატვრის მეექვსე გრძნობაა. საგნის სივრცობრივად აღქმისა და გარემოს ჰარმონიულ ნაწილად წარმოსახავის გრძნობა“.

სწორედ ამ მიდგომის რეალიზებით, ელგუჯა ამაშუკელის სკულპტურები თბილისის განუყოფელ ნაწილად იქცა (ვახტანგორგასლის ძეგლი, ქართლის დედა, ვეფხი და მოცმე და ა.შ.)

მონოლითურობა და მონუმენტალიზმი საბჭოთა პერიოდის ქანდაკების ამბიციური პროექტების იდეებს ეხმიანება, მაგრამ ისტორიის თანაკვეთაზე ამავე პერიოდის კულტურულ ველში ყალიბდება არამონოლითური ხაზი, კამერული ქან-

ისტორიის გადაკეთება

ამდენად, ფემინური და დომინანტური მიმართებების შეპირისპირება, მონოლითურობისა და კამერულობის აქცენტირება, ქანდაკების ისტორიულად გააზრების პროცესში მნიშვნელოვან მთლიანობით სურათს გვიხატავს, რაც უპირობოდ, საკვლევია და შესასწავლი საგანია.

დაკვების მიმართულება და სკულპტურის ფემინური აღქმა. ეს რუსუდან გაჩეჩილაძის სამყაროა, რომელიც დღემდე უცნობი ავტორია ფართო საზოგადოებისთვის. მოქანდაკე ქალი ეს იმთავითვე იშვიათი მოვლენაა და იმ პერიოდშიც, როდესაც რუსუდანი ასწავლიდა სამხატვრო აკადემიაში ის შესწავლიდა არა ქანდაკებას, არამედ დაზგურ ფერწერას. მიუხედავად აუღიარებლობისა, ფასდაუდებელია რუსუდან გაჩეჩილაძის მიგნებები, მისი ღრმა ფსიქოლოგიზმი, პორტრეტების უნიკალური სერია, ექსპერიმენტები თაბაშირში. რუსუდან გაჩეჩილაძის სახელოსნოში გამუდმებული ძიება ქანდაკებაში ფსიქოლოგიზმის ფაქიზ ხაზს ავითარებს, სადაც ფორმა, პიროვნული იდენტობა და ადამიანის სივრცული აღქმა ხდება წამყვანი.



M.Shergelashvili

AT THE CROSSROADS OF HISTORY



ELGUJA AMASHUKELI

Photo archive of
Ketevan Korzakhia



RUSUDAN GACHECHILADZE


Monumentalism &
Chamber in
Sculpture

ELGUJA

AMASHUKELI

AT THE CROSSROADS OF HISTORY

Photo archive of
Ketevan Kordzakhia



Sculpture is a field of art that expresses the character of the era. The history of Georgian sculpture in the 20th century was aimed at emphasizing intensive national-heroic themes in the development of cities. Thematic competitions were announced during this period and the submitted projects were monumental visualizations of sculptures in the urban landscape.

Elguja Amashukeli is a sculptor who plays a defining role in the recent history of Georgia. To this day, his works are inseparable and dominant in the urban life of the city. Such harmony between landscape, space and sculpture is rare. As the artist noted - "The sense of monumentality is the sixth sense of an artist. A sense of spatial perception of the object and imagination as a harmonious part of the environment." With the realization of this approach, the sculptures of Elguja Amashukeli became an integral part of Tbilisi (monuments of Vakhtang Gograsali, Mother of Georgia, Tiger and the Man, etc.)

Monolithism and monumentalism echo the ideas of ambitious sculptural projects of the Soviet period, but, at the crossroads of history, a non-monolithic line is formed in the cultural field of the same period, the direction of chamber sculpture and its feminine perception. This is the world of Rusudan Gachechiladze, who is still not well-known to the general public. A female sculptor - this is a rare occurrence as it is. Even during the period when Rusudan taught at the Art Academy, she taught not sculpting, but easel painting. Despite the non-recognition, Rusudan Gachechiladze's findings, her deep psychologism, unique series of portraits, experiments in plaster are



Rusudan

AT THE CROSSROADS OF HISTORY

Gachechiladze

RadioFreeEurope
RadioLiberty, 14.03.2019
Photo by Mzia Saganelidze




invaluable. The constant search in Rusudan Gachechiladze's studio develops a delicate line of psychology in sculpture, where form, personal identity and human spatial perception become the leading elements.

Therefore, the confrontation of feminine and dominant relations, the emphasis on monolithism and chamber, give us a significant insight into the historically understanding of the sculpture, which is, without a doubt, a subject of study and research.

ხელოვნებათმცოდნის ბლოგი

ჭორჯ კუბლა
(მიორობი კუბლაშვილი)

სკულპტურის და ინსტალაცია



თანამედროვე ხელოვნება ხშირად ხელოვანის სუბიექტურ შემოქმედებით, ექსპერიმენტულ ხედვაზე აგებული, სადაც სახელოვნებო მიმდინარეობა, ისტორიზმი და კონცეპტუალური მიმართება ინდივიდუალური პრიზმიდან არის გააზრებული. რღვევა სახელოვნებო მიმდინარეობებს შორის XX საუკუნის დასაწყისის დადაისტური და უფრო ფართოდ ავანგარდული ხელოვნების მონაპოვარია.

თანამედროვეობაში ქანდაკება ერთ-ერთ ყველაზე კლასიკურ მიმართულებად რჩება სახელოვნებო სივრცეში, რადგან აკადემიზმი და რეალისტური გამომსახველობა სკულპტურული ფორმათქმნადობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. თუმცა ინსტალაციური ხელოვნება, რომელიც ფართოდ დეფინიციით მოიცავს შერეულ მასალაში შესრულებულ ობიექტს, ხშირად სწორედ თანაკვეთილ ზღვრულ გააზრებას მოითხოვს.



სკულპტურის მასშტაბი და ინსტალაციური ხელოვნებისთვის სახასიათო სინთეზურობა ერთგვარ ნოვატორულ ხედვას ამკვიდრებს. ისტორიული გამოცდილების რომანტიზებული ან კრიტიკული გააზრება, მოდერნისტული აბსტრაქტული ფორმებისა და რეალისტური მიმართების აქცენტირება იმ თანაკვეთაზე, სადაც სკულპტურა სამგანზომილებიანი ხედვის წერტილით აერთიანებს დადაისტურ თამაშს, თანამედროვე ტექნოკრატიულობას და ადამიანის არქაულ მისწრაფებას - შეიცნოს სამყარო და მასალაში გამოკვეთოს აზრობრივი მიმართება და იდეის მატერიალიზებული შრეები.

AT THE INTERSECTION OF SCULPTURE & INSTALLATION

Mariam Shergelashvili

REACH
art VISUAL
ART consulting
company

PRESENTS

BLOG BY ART HISTORIAN



BEGI GUGGENHIME

Contemporary art is often built on the subjective creativity of the artist, on an experimental vision, where the artistic current, historicism and conceptual relation are conceived from an individual prism. The breakdown between artistic currents is the result of the early XX century Dadaism and avant-garde art more generally.

In modern times, sculpture remains one of the most classic directions in the art space, as academism and realistic expression are important features of sculptural form. However, installation art, which by a wide definition includes an object made of mixed material, often requires precisely a marginal understanding.

The scale of the sculpture and the characteristic synthesis for the installation art establish a kind of innovative vision. A romanticized or critical understanding of historical experience, an emphasis on modernist abstract forms and a realistic approach is at the crossroads where sculpture combines a three-dimensional point of view with the Dadaist game, modern technocracy and man's archaic aspiration to explore the world and express the intellectual relation and materialized layers of the idea.



თამარ ბოჭორიშვილი

EMERGING ARTIST



თამარ ბოჭორიშვილი მულტიმედია ხელოვანია, რომელიც საკუთარ შემოქმედებაში ემოციის, სენსუალური, თამამობრივი განცდების ნაზავს სხვადასხვა მედიაში გამოხატავს. ნახევრად ფიგურატიულ, აბსტრაქტული ფორმებით თამარი იმ ვიზუალურ ენას ქმნის, სადაც შეგრძნება პერსონიფიცირებულ საზღვრებს ტოვებს და კოლექტიური გააზრების საგანია.

თამარის მინიატურული სკულპტურული ობიექტები ლაკონური თავისთავადი ფორმებით მეტყველებენ. ხელოვანი ხშირად ამ ობიექტებში არსებულ (ე.წ. "რედიმეიდ") მასალებს იყენებს და ქმნის ნაზავს, სადაც სექსუალობა და სხეული კონტექსტუალურად განიხილება. ფრაგმენტირებული დანაწევრებული სტრუქტურები ფსიქო-სოციალურ თემებს აერთიანებს. იუმორი, ცნობიერების შრეები, პოსტპუმანური რეალობის ანარეკლები - თანამედროვე შეგრძნებათა ციკლში ფიქსირებული სიმულაკრებას წარმოგვიდგებიან. აქ სკულპტურის შემოქმედებით გააზრება დეფინიცების მიღმა არსებული მდგომარეობების ძიებას გამოხატავს.

თამარ ბოჭორიშვილი ვიზუალური ხელოვანი. ცხოვრობს და მუშაობს თბილისში.

განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასა და ლაიფციგის სახვითი ხელოვნების აკადემიაში. აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, გამოფენებსა და რეზიდენციებში. ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი გამოფენები და პროექტები:



“როგორ წარვადგინოთ ხელოვნება საჯაროდ პანდემიის დროს” აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი (2020)

“ძვირფასი თვალი“, გალერეა Art Beat, თბილისი (2020)

“გადარჩენილი სხეულები” აბრეშუმის მუზეუმი, თბილისი (2019),

“გაცურე არსაით” ობსკურა-დროებითი სახელოსნოების სტუდია სტამბა, თბილისი (2019)

ოქსიჯენ Tbilisi No Fair, The why not gallery (2018),

“ჩახატე ქალაქი” შტუტგარდი, გერმანია (2017),

Art Prospect ხელოვანთა სარემბი-დენციო პროგრამა, ბიშკეკი, ყირგიზეთი (2017).



ბრძნობის სიმულაკრები

Simulacra

REACH
art VISUAL
ART consulting
company

PRESENTS

EMERGING ARTIST

of Emotions



TAMARA
BOCHORI
SHVILI

Tamar Bochorishvili is a multimedia artist who expresses a mixture of emotional, sensual, playful feelings in various media in her works. In semi-figurative, abstract forms, Tamar creates a visual language where feeling transcends personalized boundaries and is subject to collective understanding.

Tamar's miniature sculptural objects speak in laconic original forms. The artist often uses the materials contained in these objects (so-called "readymade") and creates a mixture where sexuality and body are considered contextually. Fragmented segregated structures unite psycho-social understandings. Humor, layers of consciousness, reflections of post-human reality - are a simulation fixed in the cycle of modern sensations. Here the creative understanding of the sculpture expresses the search for conditions beyond the definitions.

Tamar Bochorishvili is a visual artist. She lives and works in Tbilisi, studied at the Tbilisi State Academy of Arts and the Leipzig Academy of Fine Arts. She actively participates in local and international projects and exhibitions. Recent Exhibitions and Projects:

Outside the Cocoon: How to Present Art Publicly During the Pandemic, State Silk Museum, Tbilisi (2020);

Precious Stone, Art Beat Gallery, Tbilisi (2020);

Surviving Bodies, Silk Museum, Tbilisi (2019);

Swim Nowhither, Obscura - Temporary Studio at Stamba, Tbilisi (2019);

Oxygen, Tbilisi No Fair, The Why Not Gallery (2018);

Paint the City, Stuttgart, Germany (2017);

Art Prospect, Artists Residency Program, Bishkek, Kyrgyzstan (2017).

ძიებვის გზაზე

ქანდაკეა დღეს



ქეთევან კონძაძის ფოტოგრაფიებიდან


“

არიან სხეულები – მდებრი და მამრი, მაგრამ ჩვენში კიდევ არის რაღაც სხეული, რაც სხეულია მხოლოდ

ნოდარ თოფურია

(ვლიტკევიჩი)

ქანდაკება დღეს



ქეთევან კორძაძისა
ფოტოარქივიდან

ნოდარ თოფურისა შემოქმედება აერთიანებს თაბაშირისა და ბრინჯაოს მინიატურულ ქანდაკებებს. სხეული და ფორმა, ადამიანური თვითშემეცნების გზა, ცნობიერისა და არაცნობიერის ბღვარი - ეს თემატიკა ხშირად მოქანდაკის ნამუშევრებში ირეალურ ფორმათქმნადობას ავითარებს.

ძიება და გამოთავისუფლება საკუთარი ტანიდან ნოდარ თოფურისა პირად პოზიციას აფიქსირებს. მის ნამუშევრებში სხეულისა და სულის გაგება ტრანსფორ-მაციას გნიცდის. ამ პროცესში მოქანდაკისათვის გარეგნული ნიშნები და შინაგანი მდგომარეობა თაბაშირისა და ბრინჯაოს მასალით ფორმირდება. ამორფულობასა და ირეალური დეტალიზაციიში გაღვივებული განწყობა ნოდარ თოფურისა სამყაროა, სადაც სხეული ფიზიკურობას ვარგავს და ამავედროულად განცდის, მგრძნობიარე ფიქრის ვიზუალიზაციას სთავაზობს მნახველს.



NODAR

REACH
art VISUAL
ART consulting
company

PRESENTS

SCULPTURE TODAY

TOPURIA



Photo archive of
Ketevan Korzakhia

ON THE
PATH OF
SEARCH



THERE ARE BODIES – FEMALE AND MALE, BUT THERE IS ANOTHER BODY WITHIN US, WHICH IS THE BODY ONLY

The understanding of body and soul in his works undergoes a transformation.



Nodar Topuria's work combines miniature sculptures of plaster and bronze. Body and form, the path of human introspection, the boundary between the conscious and the unconscious - these themes often develop a surreal form-creation in the sculptor's works.

Photo archive of
Ketevan Kordzakhia

SCULPTURE TODAY

Search and release from his own body fixes Nodar Topuria's personal position. The understanding of body and soul in his works undergoes a transformation. In this process, the external marks and internal condition for the sculptor are formed from plaster and bronze material. The mood aroused in amorphousness and unreal detail is the world of Nodar Topuria, where the body loses physicality and at the same time offers the viewer a visualization of feeling, sensitive thinking.



CHATEAU ZARBAZANI



WINE
COLLECTION



ZARBAZANI SHOP AT ATONELI STR. 18,
TBILISI, GEORGIA
TEL.: +995 599 739 972
FACEBOOK: CHATEAU ZARBAZANI

📍 14, M. Kostava ST. 0108 Tbilisi, GEORGIA
 📞 +995 555 551 171
 @ reachart.visual@gmail.com
 f @ReachArtConsulting
 📷 reachart.visual

COVER: Archil Tabagary sculpture

Publishing and Concept - Thea Gogvadze (Tea Nili)
 Art Historian - Mariam Shergelashvili
 Editor - Mariam Shergelashvili
 Design - Irina Kacharava
 Translation and Editing - Ketevan Uchaneishvili
 - Andriy Etcheverry

Interview - Archil Tabagary

Review - Mariam Shergelashvili

Photo - Ketevan Maghularia
 - RadioFreeEurope
 RadioLiberty
 - Atinati
 - Propaganda.network
 - Giorgi Induashvili
 - Provided by artists
 - Lasha Bakuradze

This work, including its parts, is protected by copyright. None of the materials may be redistributed or reproduced, in whole or in part, in any form by any means without the consent of the publisher and the author. This applies to electronic or manual reproduction, including photocopying, translation, distribution and other forms of public accessibility

ყდაზა: არჩილ თაბაგარი - „თავი ხელში აიყვანე“

გამომცემელი და კონცეფცია - თეა გოგუაძე (თეა ნილი)
 ხელოვნებათმცოდნე - მარიამ შერგელაშვილი
 რედაქტორი - მარიამ შერგელაშვილი
 დიზაინი - ირინა კაჭარავა
 თარგმანი და კორექტურა - ქეთევან უჩანეიშვილი
 - ანდრი ეტევერი

ინტერვიუ - არჩილ თაბაგარი

რეცენზიები - მარიამ შერგელაშვილი

ფოტო - ქეთევან მაღულარია
 - რადიო თავისუფლება
 - ათინათი
 - Propaganda.network
 - გიორგი ინდუაშვილი
 - მონოდებულია ხელოვანების მიერ
 - ლაშა ბაკურაძე

ეს ნამუშევარი, ყველა ნაწილის ჩათვლით, დაცულია საავტორო უფლებებით. დაუშვებელია ნამუშევრის, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმით გამოყენება, გავრცელება, ან გადაღება გამომცემლისა და ავტორის თანხმობის გარეშე. ეს ეხება ელექტრონულ თუ მექანიკურ მეთოდებს, მათ შორის ფოტოასლის გადაღებას, თარგმანს, და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის სხვა ფორმებს.

In cooperation with



📍 14, M. Kostava ST. 0108 Tbilisi, GEORGIA
 📞 +995 599 502 500
 @ irina.kacharava1@gmail.com
 f @istudiolab
 📷 istudiolab
 www.istudiolab.ge

Special thanks to **KETEVAN KORDZAKHIA** for providing exclusive photo material


განსაკუთრებული მადლობა ქეთევან კორძახიას სპეციალური ფოტოარქივის მონოდებისტვის

July

ANNOUNCEMENT

ՆՈՄԵՆ

05



ZE GAVLENA

RAV • art review 07.2021

Etching and Co